ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/0393-14 29 07 2014 წ.

დადგენილება №000455
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

29.07.2014წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ უჩა ზაქაშვილმა განვიხილე 2014 წლის 25 ივლისის №000455 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. "იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა"-ს (ყოფ. შ.პ.ს. "აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრი", საიდენტიფიკაციო კოდი №404413005, მის: ქ. თბილისი, წინანდლის ქ. №9, ნაკვეთი №01/113) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, წინანდლის ქ. №9, ნაკვეთი №01/113-ში შ.პ.ს. "იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა"-ს (ყოფ. შ.პ.ს. "აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრი") მიერ განხორციელდა საავადმყოფოს მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №251497 AR156977 19.07.2012წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ტერიტორიის კეთილმოწყობა არ შეესაბამება საპროექტო, შეცვლილია ტერიტორიის ნიშნულები, გამწვანების ზოლების ფორმა და საცურაო აუზის გაბარიტი. შეცვლილია გარე კიბის საფეხურების ფორმა და გაბარიტი. გაუქმებულია პანდუსი. შეცვლილია ღობის ფორმა და გაუქმებულია ლითონის დეტალები. ფასადებზე შეცვლილია ღიობების ფორმა, რაოდენობა და გაბარიტი. გაუქმებულია პერგოლები. დამატებულია ბუხრის მილი და გამწოვი მილები. გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე. გაზრდილია მოაჯირის სიმაღლე. „3-5" მონაკვეთში შეცვლილია დეკორატიული ელემენტის გაბარიტი. შეცვლილია შიდა კიბის უჯრედის კონფიგურაცია და გაბარიტი. ±0.00 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში მოწყობილია შიდა კიბის საფეხურები. „4-5" მონაკვეთში კედლებს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაზრდილია შენობის გაბარიტი 8მ²-ით. „1-3" მონაკვეთში შემინულია ღია ავტოსადგომისთვის განკუთვნილი ადგილი (45მ²). „5-4" მონაკვეთში მოწყობილია საჩრდილობელი. „6-6" ღერძის გარეთ

მოწყობილია კედლები, გადახურულია და გაზრდილია ფართი 10მ²-ით. +3.30 ნიშნულზე „2-2" ღერძის გარეთ კედლებს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია საჩრდილობელი. ასევე „5-6" მონაკვეთში მოწყობილია საჩრდილობელი. დამატებულია მინის მოაჯირი. „3-4" მონაკვეთში მოწყობილია შიდა კიბე. სახურავზე მოწყობილია ფართი 16მ². სამანქანოზე დამატებულია ფრამუგის და კარის ღიობი. დამატებულია სატელიტური თეფშები. ღობე ნაწილობრივ სდება საპროექტო საკადასტრო წითელ ხაზებს.

2014 წლის 25 ივლისის საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000455 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №12/14198575-16 17.07.2014წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა"-ს (ყოფ. შ.პ.ს. "აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრი") მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, წინანდლის ქ. №9, ნაკვეთი №01/113-ში შ.პ.ს. "იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა"-ს (ყოფ. შ.პ.ს. "აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრი") მიერ განხორციელდა საავადმყოფოს მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №251497 AR156977 19.07.2012წ., ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა" (ყოფ. შ.პ.ს. "აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრი") დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა"-ს (ყოფ. შ.პ.ს. "აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრი") დაევალოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა"-ს (ყოფ. შ.პ.ს. "აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრი") დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების ალმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე

უ. ზაქაშვილი

№000455 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცლი)

ტერიტორიის კეთილმოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს: შეცვლილია გამწვანების ზოლების ფორმა. შეცვლილია დაცვის შენობის გაბარიტი. ტერიტორიაზე განთავსებულია ჩილერები. შეცვლილია ღობის ფორმა და დამატებულია ლითონის დეტალები. შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და რაოდენობა.
ფასადების მოპირკეთება არ შეესაბამება საპროექტოს: გაუქმებულია პარაპეტი. ფასადებზე დამატებულია წყლის გადამყვანი მილები და გამწოვი ცხაურები. დამატებულია ორი კონდიციონერი. შეცვლილია გარე კიბის ფორმა და გაბარიტი. გაუქმებულია პანდუსი. კიბის ქვეშ ამოღებულია გრუნტი და მოწყობილია სივრცე. შეცვლილია მოაჯირის ნახატი. „3-6" მონაკვეთში შეცვლილია საჩრდილობლის ფორმა და გაბარიტი. დამატებულია დამჭერები.
მიწისქვეშა სართული: გარე კედლები მოწყობილია მონოლითით. დამატებულია დიაფრაგმები და კიბის უჯრედი. „6-6" ღერძთან შეცვლილია კედლის ფორმა.
ცოკოლის სართული: „4-6" მონაკვეთში შემცირებულია ორი კარის სიმაღლე 0.25მ-ით. „1-2' მონაკვეთში ღიობებს მონაცვლებული აქვს ადგილი.
პირველი სართული: „6-5" მონაკვეთში ორფრთიანი კარის ნაცვლად მოწყობილია სლაიდური კარი.
მეორე სართულზე „7-5" მონაკვეთში გადახურვაზე მოწყობილია აივანი, მოაჯირები და მინაპაკეტის ოთახი. დამატებულია კიბის საფეხურები.
სხვენი: მოწყობილია კიბის საფეხურები და დამატებულია ხის კონსტრუქციები. სახურავი დამატებულია ორი სამერცხლე.
პროექტის ხარვეზი: ცოკოლის სართულზე „2-1" მონაკვეთში ფრამუგები მოწყობილია გეგმის ნახაზის მიხედვით და არ არის აღნიშნული ფასადის ნახაზებზე.
ღობე ნაწილობრივ სდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

მთავარი სპეციალისტი _____ /კ. გიორგობიანი/

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი. 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000455

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 25 07 14

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეწერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საერავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადაწყვეტილებაში მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ზ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი:

ობიექტის დასახელება და მისამართი:

შემოწმებით დადგინდა:

ძ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს გაეწრთხილებათ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის შესაბამისად:

1. ჯარიმა უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებისთვის განისაზღვრება:
   ა. სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრება'ში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით;
   ბ. კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 8 000 ლარით;
   გ. უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება შენობა-ნაგებობის გაბარიტების შეუცვლელად, ან საინჟინრო-კომუნალური ქსელების უნებართვო რეკონსტრუქცია - 4 000 ლარით

2. ჯარიმა სანებართვო პირობების დამრღვევისათვის II კლასის შენობა-ნაგებობისთვის განისაზღვრება - 2000 ლარით. III კლასის შენობა-ნაგებობისთვის - 3000 ლარით. IV კლასის შენობა-ნაგებობისთვის - 4000 ლარით.

3. ჯარიმა მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველი ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისთვის განისაზღვრება - 5000 ლარით.

4. ჯარიმა მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვებისთვის განისაზღვრება - 10 000 ლარით.

5. ჯარიმა მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის განისაზღვრება - 3000 ლარით.

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვლოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.
(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)

განთავსების თარიღი

ძ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური გაფრთხილებთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის შესაბამისად:

1. დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმებიდან 30 დღის ვადაში.

2. დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ. საურავის თანხა განისაზღვრება დაკისრებული ჯარიმის ოდენობით (მაგალითად, თუ პირს დაეკისრება ჯარიმა უნებართვო მშენებლობისთვის, რომელიც განისაზღვრება 10 000 ლარით და მის მიერ 30 დღის ვადა'ში არ განხორციელდება ამ თანხის გადახდა, დაეკისრება საურავი 10 000 ლარის ოდენობით)

3. ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით (მაგალითად, თუ პირს დაეკისრება ჯარიმა უნებართვო მშენებლობისთვის, რომელიც განისაზღვრება 10 000 ლარით და მის მიერ 30 დღის ვადაში არ განხორციელდება ამ თანხის გადახდა, დაეკისრება საურავი 10 000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, თუ დარღვევა არ გამოსწორდება ჯარიმის დაკისრებიდან სამი თვის ვადაში დამრღვევი დაჯარიმდება 30 000 ლარით);

4. შემოწმების აქტში დაფიქსირებული შედეგის მიუხედავად, თუ საქმის განხილვის მომენტისთვის დარღვევა გამოსწორებული იქნება (მაგალითად, განხორციელდება უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის დემონტაჟი), დამრღვევის მიმართ აღარ გატარდება საჯარიმო სანქციები და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდება.

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე **№** 2

ID 362230743

ჰორიზონტის ბანკი
ProCredit Bank

გადამხდელის დასახელება	შპს იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა	თანხა ციფრებით 3000.00 **GEL**
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	404413005	
ანგარიშის ნომერი	GE19PC0133600100057796	თანხა სიტყვებით სამიათასი ლარი 00 თეთრი
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22	
საბიუჯეტო / სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა		სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) ☐
დასახელება	შპს იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა	სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:00 სთ-მდე
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	404413005	
მიმღების დასახელება	ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში(არასაგადასახადო შემოსულობები/თვითმმართველი ქალაქი თბილისი)	ბანკის აღნიშვნები
ანგარიში / სახაზინო კოდი	300773263	
მიმღების ბანკი / ხაზინა	საქ.ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური კოდი TRESGE22	ბანკში შემოსვლის თარიღი **07.08.2014 14:53**
გადახდის დანიშნულება	შემოსავალი საწარმოებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	ხელმოწერა - - - - - - - - - - - - -
დამატებითი ინფორმაცია	დადგენილება # 000455 29.07.2014 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე	ჰორიზონტის ბანკი PROCREDIT BANK ელექტრონული მომსახურების ცენტრი ELECTRONIC SERVICE CENTER
ხელმომწერები - - - - - - - - - - - - -	ბეჭდის ადგილი	
- - - - - - - - - - - - -		
	თარიღი: **07.08.2014**	

საგადახდო დავალება N2

"02" ივლისი 2014 წელი

რეფერენსი
2849263826

გადამხდელის დასახელება: ირინე ხაჭაძე

ანგარიში (იბეიტი) GE86BG4501981640030001
(ძველი ანგ.)

თანხა
916-50

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

თანხა სიტყვებით
ცხრაას თექვსმეტი ლარი 50 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ნათია ალექსიადს

საიდენტ. კოდი 01009002335

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიშის/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773090

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

ბანკის აღნიშვნა

ბანკში შემოსვლის თარიღი: 02.07.14

გატარებულია ბანკის მიერ: 02.07.14

გადახდის დანიშნულება: სერვის-ცენტრების მომსახურებით გადასახდელის გადახდა, სხვა თბილისის არქიტექტურის სამსახური, ნომერი AR1213592BP, გადახდის კოდი - 631219688

დამატებითი ინფორმაცია:

შტამპის ადგილი

ხელმოწერები: ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

ბ.ა.

... ...